ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
ქართული ენის სასწავლო სახელოსნო

ეპიზოდები

ვიდეოფილმებზე აგებული დამატებითი სასწავლო მასალები ქართული ენის შემსწავლელთათვის

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
თბილისი – 2013 წელი
ILIA STATE UNIVERSITY

ეპიზოდები

პროექტის აკადემიური ხელმძღვანელი:
ეკატერინე შავერდაშვილი

ავტორები: **თინათინ კიღურაძე**
ეკატერინე ქუთათელაძე
ივლიტა ლობჯანიძე

რედაქტორი: **ნინო დობორჯგინიძე**

კორექტორი: **ნინო კურტანიძე**

დამკაბადონებელი: **ქეთევან გოგავა**

ყდის დიზაინი: **თიკა კვეზერელი-კოპაძე**

მინიფილმები გადაღებულია რეჟისორ **ქუცნა (ქურციკ) ამირეჯიბის** მიერ ილიას უნივერსიტეტის სტუდენტების მონაწილეობით.

„ეპიზოდების“ ვიდეოფილმების გადაღებაში მონაწილე სტუდენტები:
ლაშა ამიძე
ქეთი გაჩეჩილაძე
სოფო გიგაური
გვანცა გოგიშვილი
სალომე გონაშვილი
ნინო გოგსაძე
გიორგი კონტუაძე
გიორგი ლომსაძე
მარიამ მებონია
ნინო რუხაძე
ალექსანდრე ფარქოსაძე
სარა ფროშაუაერი
ლევან წიკლაური
ვეი ჩონგ შენგი
ბორის ლამბერი
ია ჯაყელი

ISBN 978-9941-18-168-9

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა
ქაქუცა ჩოლოყაშვილის 3/5, თბილისი, 0162, საქართველო

ILIA STATE UNIVERSITY PRESS
3/5 Cholokashvili Ave, Tbilisi, 0162, Georgia

შინაარსი

თემა 1: გაცნობა 7

თემა 2: სადაურობა 15

თემა 3: მგზავრობა, ქალაქში ორიენტაცია 24

თემა 4: პროფესია 37

თემა 5: მოგზაურობა 45

თემა 6: საყიდლები 53

თემა 7: სასმელები და საჭმელები 62

თემა 8: გადასახადები 73

თემა 9: ჯანმრთელობა 81

თემა 10: სპორტი 93

თემა 11: გასაქირავებელი ბინა 105

თემა 12: დღესასწაული 113

თემა 13: თავისუფალი დრო 126

თემა 14: ამინდი 136

თემა 15: გარეგნობა, ხასიათი 148

წინასიტყვაობა

წარმოდგენილი სასწავლო მასალა განკუთვნილია არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის, თუმცა მისი გამოყენება შეუძლია ქართულის, როგორც მეორე და როგორც უცხო ენის ნებისმიერ შემსწავლელს და ყველა დაინტერესებულ პირს.

„ეპიზოდებისთვის“ მასალები მომზადდა 2010-2012 წლებში ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის და პრაქტიკოსი პედაგოგების მიერ, რომლებიც უშუალოდ არიან ჩართულნი სახელმწიფოს მიერ ინიცირებულ პროგრამაში „ქართულ ენაში მომზადების საგანამანათლებლო პროგრამა“. მასალამ გაირა პილოტირება ამ პროგრამის ფარგლებში.

ამგვარი მასალის შემუშავება განაპირობა კომუნიკაციაზე ორიენტირებული სახელმძღვანელოების დეფიციტმა. შესაბამისად, ავტორთა მიზანი იყო არაქართულენოვანი შემსწავლელებისათვის ისეთი მასალის შექმნა, რომლის გამოყენებაც ენის სტრუქტურულ დონეზე ათვისებასთან ერთად, ხელს შეუწყობს სტუდენტების ქართულენოვან საუნივერსიტეტო სივრცეში ინტეგრირებას.

საუნივერსიტეტო პროექტის ფარგლებში, პირველ ეტაპზე, შემუშავდა თეორიული კონცეფცია ქართულის, როგორც მეორე ენის შესასწავლი დამხმარე მასალისთვის, ხოლო მეორე ეტაპზე, ამ კონცეფციის ბაზაზე, – პრაქტიკული სასწავლო დამხმარე მასალა ვიდეოფილმებითა და დავალებების ფართო სპექტრით.

„ეპიზოდები“ წარმოადგენს მოკლე ვიდეოფილმებზე („ეპიზოდებზე“) აგებულ დამხმარე მასალას. წიგნი და თანდართული დისკი მოიცავს 15 თავს, ანუ 15 თემას, თითოეულში საშუალოდ 2-4 ყოველდღიური დიალოგისგან შემდგარი ვიდეოეპიზოდით.

ზოგიერთ თემას ახლავს ინტერნეტში განთავსებული აუდიომასალაც. თითოეული თავი ბოლოვდება მინიპროექტით, რომელიც მიზნად ისახავს ნასწავლი ენობრივი მასალის გამოყენებას რეალურ ან რეალობას მიახლოებულ სიტუაციაში.

მასალის შედგენისას არ არის გათვალისწინებული საერთო ევროპული სარეკომენდაციო ჩარჩოს რომელიმე კონკრეტული დონე, რაც შესაძლებლობას აძლევს დაინტერესებულ პირებს, გამოიყენონ ცალკეული მონაკვეთები „ეპიზოდებიდან“ ნებისმიერ დონეზე, როგორც დამატებითი მასალა.

ავტორთა ჯგუფი მადლობას გიხდით, რომ არჩევანი შეაჩერეთ „ეპიზოდებზე“ და მადლობელი იქნება ნებისმიერი გამოხმაურებისთვის.

ავტორთა ჯგუფი,
სექტემბერი, 2013 წ.

თემა 1: გაცნობა

დავალება 1.1

წარმოდგენილ სურათებზე ამოიცანით თქვენთვის ნაცნობი პიროვნებები და ჩაწერეთ სახელები მოცემულ ცხრილში:



1. ჯორჯ ...	2. ...	3. ...	4. ...	5. ...

დავალება 1.2

ა. **დაათვალიერეთ ქვემოთ მოცემული ფოტოები და წაიკითხეთ სახელები. როგორ ფიქრობთ, ვის რა ჰქვია?**

სალომე

კესო



გიორგი

ნინი



ეკა



ბორისი



ლაშა

გვანცა

ბ. **ნახეთ ვიდეოჩანაწერი 1.1. დაუკავშირეთ ერთმანეთს სურათები და სახელები:**

დავალება 1.3

ხელმეორედ ნახეთ ვიდეოჩანაწერი 1.1. წაიკითხეთ ტექსტები მოსმენის პარალელურად. ხაზი გაუსვით ქართულ გვარებს და შემოხაზეთ მსგავსი დაბოლოებები.

1. **გამარჯობა! მე გვანცა მქვია.**
2. **სალამი ყველას. მე ეკა დანელია ვარ.**
3. **გამარჯობა. მე მქვია ბორისი.**

4. **გამარჯობათ.**[1] **მე მქვია გიორგი.**
5. **გამარჯობა! მე ვარ სალომე გონაშვილი.**
6. **გამარჯობა! მე გახლავართ ლაშა მაისურაძე.**
7. **სალამი. მე ვარ კესო.**
8. **გამარჯობა! მე ნინი ვარ, გვარად ვარ რუხაძე.**

დავალება 1.4

წაიკითხეთ ტექსტები კიდევ ერთხელ და ამოწერეთ მისალმების ფორმები. კიდევ რომელ ფორმას იცნობთ?

1. გამარჯობა!
2. .....
3. .....
4. .....

.....

.....

.....

.....

დავალება 1.5

ნახეთ ვიდეოჩანაწერი 1.2 და ხაზი გაუსვით ზმნებს ნიმუშის მიხედვით.

სალომე: გამარჯობა, მე სალომე მქვია, შენ?
ქეთი: მე ქეთი მქვია.
ქეთი: მე ქეთი ვარ, შენ რა გქვია?
ნინი: მე ნინი ვარ.

მე მქვია სალომე.

შენ გქვია ნინი.

1 მართალია, „გამარჯობათ“ გრამატიკულად არასწორი ფორმაა, მაგრამ ის სალაპარაკო ქართულში დამკვიდრებულია და ხშირად გამოიყენება, როგორც მისალმების თავაზიანი ფორმა.

დავალება 1.6

გაითამაშეთ დიალოგები ქვემოთ მოცემული ფრაზების დახმარებით:

– რა გქვიათ? – მე ნიკო ვარ. თქვენ რა გქვიათ? – მე სანდრო ვარ.	– რა გქვიათ? – მე ..... ვარ. თქვენ რა გქვიათ? – მე ..... ვარ.

დავალება 1.7

ნახეთ ვიდეოჩანაწერი 1.3, იპოვეთ ტექსტში მისალმების ფორმა და დაამატეთ ეს ფორმა დავალებაში 1.4.

დავალება 1.8

გაითამაშეთ დიალოგები მოცემული ფრაზების დახმარებით:

გამარჯობა სალამი დილა მშვიდობისა მე ვარ..., შენ? მე მქვია ... მე ..... ვარ / მქვია (შენ) რა გქვია?

დავალება 1.9

მოცემული წინადადებები დაუკავშირეთ ერთმანეთს და შეადგინეთ 3 მინიდიალოგი.

– გამარჯობა, ნინო. მე ქეთი ვარ.

– სოფო, როგორ ხარ?

– გამარჯობა, მე ვარ ნინო, შენ?

– მე გახლავართ ეკა დანელია. თქვენ?

– გამარჯობა, მე ლაშა ამბიძე ვარ.

– კარგად, სალომე. შენ?

დავალება 1.10

ნახეთ ვიდეოჩანაწერი 1.4 და დაამატეთ ცარიელ უჯრებში დამშვიდობების ორი ფორმა.

აბა, კარგად

კარგად ბრძანდებოდეთ

კარგად იყავი

დროებით

დავალება 1.11

დაასრულეთ დიალოგები. დავალების შესრულებისას გამოიყენეთ ბლოკში მოცემული სიტყვები.

ვარ, ბრძანდებოდეთ, კარგად, მქვია, გამარჯობა, ნახვამდის, ხარ, შენ?

1. – გამარჯობა! მე ..... მარინა.
   – ....., მარინა. მე დათო .....
2. – როგორ ....., ლევან?
   – ....., თეა, ...?
3. – კარგად ....., ლელა.
   – ....., სანდრო.

დავალება 1.12

წაიკითხეთ ცხრილში მოცემული ინფორმაცია და სურათების ქვეშ უპასუხეთ შეკითხვებს.

ეს ელენე გედევანიშვილია. ელენე მოციგურავეა.	ეს რუსუდან ფეტვიაშვილია. რუსუდანი ხატავს.
მას მარკ ცუკერბერგი ჰქვია. ის პროგრამისტია და ფეისბუკის შემქმნელი.	მას ლიანა ისაკაძე ჰქვია. ლიანა ისაკაძე მუსიკოსია და ვიოლინოზე უკრავს.

ეს ვინ არის?

ამ კაცს რა ჰქვია?

ეს ვინ არის?

ამ ქალს რა ჰქვია?

ეს რუსუდანია. = ეს არის რუსუდანი.

მას რუსუდანი ჰქვია.